

სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი - ტექნიკური დავალება

აქტიური მეხამრიდის თავაკის შემოწმება და დიაგნოსტიკა

17 ობიექტზე დამონტაჟებული აქტიური მეხამრიდის (ESE) თავაკ(ებ)ის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, გამართულობის ტესტირება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

მეხამრიდის სისტემის მუშაობის ეფექტურობისა და უსაფრთხოების დადგენა მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- ვიზუალური დათვალიერება და კონტროლი;
- თავაკის ფიზიკური დაზიანებების (დნობა, კოროზია, ბზარები) იდენტიფიცირება.
- თავაკის ანძასთან/ყავარჯენთან დამაგრების სიმყარისა და ვერტიკალურობის შემოწმება.
- დამავალი გამტარების (დამიწების კაბელების) თავაკთან შეერთების კვანძის საიმედოობის შემოწმება.

ლაბორატორიული/ინსტრუმენტული ტესტირება:

- აქტიური თავაკის ელექტრონული ბლოკის (ემიტერის) ფუნქციონირების შემოწმება სპეციალური ქარხნული ტესტერით (მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად).
- ტესტირება უნდა განხორციელდეს როგორც დისტანციურად (ასეთი ფუნქციის არსებობის შემთხვევაში), ისე უშუალოდ თავაკზე მიდგომით (საჭიროებისამებრ).

თანმდევი სისტემის შემოწმება (რეკომენდებული დანამატი):

- მეხის დარტყმის მრიცხველის (Lightning Strike Counter) მუშაობისა და ელემენტის სტატუსის შემოწმება.
- დამიწების კონტურის გარდამავალი წინაღობის გაზომვა (წინაღობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ომს).

ნორმატიული სტანდარტები

სამუშაოები უნდა შესრულდეს და შეფასდეს შემდეგი სტანდარტების დაცვით:

- NF C 17-102 (ფრანგული სტანდარტი აქტიური მეხამრიდებისთვის - ESE).
- UNE 21186 (ესპანური სტანდარტი).
- საქართველოს მოქმედი სამშენებლო ნორმები და უსაფრთხოების წესები ელექტროდანადგარების მოწყობის შესახებ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ

- გამოცდილება: ანალოგიური სამუშაოების (მეხამრიდების, დამიწების სისტემების შემოწმება/მონტაჟი) შესრულების მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება.
- სერტიფიცირებული პერსონალი: სამუშაოს შემსრულებელ ჯგუფს (ინჟინრებს/ტექნიკოსებს) უნდა გააჩნდეთ:
 - მაღალ სიმაღლეზე მუშაობის დაშვება (უსაფრთხოების სერტიფიკატი).
 - ელექტროუსაფრთხოების შესაბამისი ჯგუფი (არანაკლებ IV ჯგუფისა).
 - სასურველია კონკრეტული ბრენდის (მწარმოებლის) მიერ გაცემული თავაკის ტესტირების უფლების სერტიფიკატი.
- აპარატურა: გამოყენებული საზომი ხელსაწყოები და ტესტერები უნდა იყოს სერტიფიცირებული და გააჩნდეთ მოქმედი დაკალიბრების (დამოწმების) ფურცელი.

- „ლაბორატორიას/შემსრულებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ გაცემული მოქმედი აკრედიტაცია სსტი სო/იეკ 17025 (SST ISO/IEC 17025) სტანდარტის შესაბამისად ელექტრული გაზომვების სფეროში.“

საბოლოო ანგარიშგება და მიწოდების ვადები

- ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე.
- საბოლოო დოკუმენტაცია: შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს ტექნიკური აქტი/დასკვნა (ქართულ ენაზე), რომელიც მოიცავს:
 1. შესრულებული ტესტირების ოქმებს (გაზომვის შედეგებით).
 2. ფოტომასალას (თავაკის, მრიცხველის და დამიწების კვანძების მდგომარეობა).
 3. მკაფიო დასკვნას: ვარგისია თუ არა თავაკი შემდგომი ექსპლუატაციისთვის.
 4. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში – რეკომენდაციებს მათი გამოსწორების გზებზე (მაგ. თავაკის შეცვლა, კაბელის განახლება და ა.შ.).